





სალიბერატურო და სამეცნიერო ნახაზებიანი ზაზეთი. ბაგოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 29.

ივლისი 9, 1894 წ.

№ 29.

შინაარსი: სალი-გარნო და კაზიმირ პერიე გ. წ. — საყურადღებო ამბები. — ვინ არის დამნაშავე (დასასრული) ჩხოვე-ნელია. — ლექსი დეტუ შვებრელია. — გაზ. ივერიის* ლინგე-სტი სილოვანისა. — ცხოველითა ცხოვრება ზღვა-ოკეანეთა უფსყრედში III ი. აღიზაზიშვილისა. — სალი-გარნოს მკვლელობის გამო ლექსი სილოვანისა. — მცირე შენ-შენა დეტუ შვებრელია. — კრიტიკა თავ. იდ. ჭეჭეჭეჭის ლექსება. — სილოვანისა. — ყაჩაღი, მოთხრობა თარხანისა. განცხადებანი ქუთაისის ბანკისა.



სადი-კარნი და კამიშირ ბერიე



სი წლის საშინელი გამწვანებული ბრძოლა წოდებათა შორის იყო საკირო საფრანგეთში, რომ ძელი ფეოდალური წეს-წყობილება, რომელსაც განუსაზღვრელი უფლებით მეფე უღვა თავში, თავდა-აზნაურობა შუაში და დაბალი გლეხი-მეუზაკი ძირის ჰყავდათ მოკცეული, — მოსაზობილიყო და ახალი, დემოკრატიული ბურჟუაზულ ნიადაგზე დადგენილი საზოგადოებრივი და სახელმწიფო წეს-წყობილება გამაგრებულ და გამტკიცებელიყო. ამისთვის საკირო იყო ძელი ფეოდალურის თავდა-აზნაურობის გვარებს თავისი უპირატესობა, გაელენა, უფლება ჩამართმეოდათ და მათ ალაგს გამოსულიყო მშრომელი წოდება, რომელსაც თავისი პირადი მხნეობით შეეძინა ფული და ეს ძალმომრევი იარაღი გაცხადნა თავის უფლებისა და უპირატესობის ქე-კუთხედათ. ამ სახით გვაროვნებითი უპირატესობა მაშინ გაუუქმდა და დაარსდა მდიდარი მოქალაქობა, ესე იგი ვაჭრობი წოდება, რომლის ხელში ჩაეპარდა მთელი სახელმწიფო უფლება. ამ გარემოებაში კანონ-მდებლობაც ახალი შემოადგეს: ქვეყნის მეთაურად ირჩეოდა არა მემკვიდრეობითი მეფე, არამედ პირადი ღირსებით შემკული კაცი და პასუხის მგებელიც მოქალაქეთა წოდების წინაშე ის იყო. უწინ რომ მეფური უფლება მემკვიდრეობითი ვადადიოდა ერთ გვარში, ახლა კი მეფის მაგივრად ამორჩეულს ქვეყნის მეთაურს დაერქვა პრეზიდენტი რესპუბლიკისა. თუ რომ ის ვერ დაიმსახურებდა ქვეყნის პარტიკულარს, თავის გადაზე უნდა ვადამდგარიყო და მას შემდეგ სხვა ამოერჩიათ. უწინ ქვეყნის გამაგრებაში და კანონ-მდებლობაში თითო მპყრობელ მეფესა და მის დახლოებულ მალად წოდებას გარდა სხვის ხელი არ ჰქონდა. ამისთვის ერის უფლება, მისი საკიროება, დაეწყებოდა იყო, მისი კეთილმდგომარეობა მხოლოდ მეფის მოწყალებებზე იყო დამოკიდებული. როცა სამეფო უფლება და მალად გვარების ძალა დიდმა რევოლუციამ გააუქმა საფრანგეთში, მაშინ ერის ამორჩეულიც წადგენ წინ და იმით ხელში ჩაეპარდა ქვეყნის ავტორი და ხალხზე მზრუნველობა. ამორჩეულს ქვეყნის მოთავსაც ამათთვის უნდა ეკითხა, შეეცყო ამათი საშუალებით ერის გულის პასუხი და ერის კეთილმდგომარეობის შესაფერო განკარგულება, კანონები უნდა გამოცემულიყო. ერის წინამდებარეობისაგან არჩეული პრეზიდენტი მათ დაუკითხავდ ეგრესი ოხამდა, აქედან ცხადად გამოჩნდა, რომ ამორჩევითი სახელმწიფო წეს-წყობილობა ბევრად უმჯობესი შეიქნა ხალხისთვის, ვიდრე მემკვიდრეობითი; რესპუბლიკის პრეზიდენტობამ აჯობა გარემო უსაზღვრელს თვით-მპყრობელს. დღეს საფრანგეთში ისე მტკიცედ დამყარდა ამორჩევითი უფლება, როგორც ძველათ მეფური წეს-წყობილება იყო. ასმა წელმა რესპუბლიკის არ-

სებობისამ საპატია მოქალაქეთა გვარებიც კი წამოაყენა წინ, რომელთაგან მემკვიდრეობით გამოდიოდენ სახელოვანი ქვეყნის და ერის გულ-შემატკივარნი მამულის შვილინი. ამისთანა მოქალაქეთა გვარებს ეკუთვნის კარნოსა და კამიშირ პერიეს გვარები. კარნოს პაპამ შექმნა საფრანგეთის სახელგრო ძალა დიდ რევოლუციის დროს. მისი სიდიდე იქიდან ჩანს, რომ მის მიერ გამოწყობილმა საფრანგეთის მხედრობამ ნაპოლეონის თაოსნობით მთელი დასავლეთის ევროპა და ეგვიპტე დაიპყრო. კარნოს მამა იყო განათლების მინისტრად, მეორე რესპუბლიკა რომ დაარსდა, 1848 წელს; ხოლო ამ ცოტა ხანში მოკლული პრეზიდენტი სადი-კარნო, მამა მისი დაეხდა 1837 წელს და ოცდაათობმეტის წლისა იყო, როცა ნაპოლეონ მესამე გერმანელებმა ტყვედ წაიყვანეს და მესამე რესპუბლიკის დაარსების დროს იგი დებუტატად ამორჩიეს პარლამენტში. 1851 წელს ის გახდა სახელმწიფო სამუშაოთა მინისტრად და 1855 წელს ფინანსის მინისტრად. ბოლოს, როცა გრევი გადადგა, სადი-კარნო 660 ხმის უმეტესობით აღირჩიეს 180 ხმის წინააღმდეგ საფრანგეთის პრეზიდენტად. თუმცა ცოტა ხანს იყო ეს კაცი ქვეყნის გამგედ, მაგრამ ამ ცოტა ხანშიც ისეთი დიდი ღვაწლი დასდგა საფრანგეთის წინაშე, რომ მისი საშრობლო მას ვერ დაიფიწყებს, სანამ ცოცხალი იქნება. ეს ანდაზა — ყოველივე მამულისათვის და არაფერი თავისთვისა — ამ კაცზე გამოქრლიო.

კამიშირ პერიეც ისეთივე სახელ განთქმული რესპუბლიკის დროს მოქალაქე გვარიდან ჩამომავლობს, როგორც კარნო. ის ახლა აირჩიეს კარნოს სიკედილს შემდეგ საფრანგეთის პრეზიდენტათ. ის ჯერ კიდევ შუა კაცად არის, საფრანგეთის პრეზიდენტობისათვის ჯერ მომწიფებული ხანიცაა აქვს; სულ ორმოცდა შვიდი წლის კაცია. ამბობენ ირამოკი მილიონი ფრანკი ქანება აქვსო. მეტად ირამოკი მოქალაქეთა წოდების, ესე იგი ბურჟუაზულ საფრე დაწყობილებსა. ის აირჩიეს მხოლოდ იმ განზრახვით, რომ ანარჩისტების პარტიამოსპოს და არც არის მოსალოდნელი, რომ დაბალს ღარობს ხალხს რაიმე შეღავათი მიეცეს მის პრეზიდენტობაში და ისეთი სახელმწიფო კანონები გამოაცეს, რომ მუშა ხალხი კეთილმდგომარეობის გზაზე დაეყვინოს. ამისთვის ის, ვითარცა მოწინააღმდეგე მტრულ მუშა ხალხისა, შესაძლებელია, იმავე ზედს შეემთხვოს, როგორც კარნო; მაგრამ თუ ამ ხიფათს ვაღვრის, დიდხანს მაინც ვერ გაძლებს პრეზიდენტობაში, რადგან თავის ნება და მიზნი ხასიათის კაცია. ასეთი თვისების კაცი ახლადელ საფრანგეთში დიდ ხანს იქნება მერჩება ქვეყანას.

საყურადღებო ამბები

რეზაბათს, 4-ს იელისს ნაშუადღის ორსაათს მოჰკლეს ამიერ კავკასიის რკინის გზას უფროსის თანაშემწე პ. ე. კორში, ის იყო თურმე პ. ე. კორში გამოვიდა ქუჩაში სახლში წასასვლელად; ამ დროს მოეწია ერთა სამსახურიდან დათხოვნილი ობერ-კანდუტორი გარშენი, მივირდა კორშს და დახტა, მერე შებრუნდა ისევ მატარებლის შენობაში მიხელა მოსვლის უფროსთან ზალატინკოსთან და უნდოდა მისი მოკვლა, მაგრამ იმას მხოლოდ ხელი გადუქნება ხანჯლით, გარშენი დაატუსაღეს და სასტიკი გამოძიება არის დანიშნული. პ. ე. კორში კი იმავე დღეს გადაიკვალა.

* *

კოსტანტინპოლიდან გეწერენ, რომ 28 იელისს შუალამისას იყო საზარელი მიწის ძვრა ორჯელ ზედი-ზედ. ძველი შენობები ბევრი დანგრეულა, რამდენიმე კაცი მომკვდარა და ხალხი დიდი შეშინებულია. ხმა დაჰყარეს თურმე მეორედ კიდევ იქნება მიწის-ძვრა.

* *

ჩვენ გვატყობინებენ სოფ. წევის (შორაპნის მახრისა) სკოლის მდგომარეობას. მოსწავლეები თურმე თანდათან ემატება ამ სკოლას და სწავლის მსურველი ბევრნი არიან, მაგრამ რადგან მოთავე კაცები — მზრუნველები არა ჰყავთ შენობა უხეზოი მდგომარეობაში ჩაყარდნია, დღეს ხეალ, თუ ხელი არ შეუწყეს სიძველე დასკლეს. კარგი იქნება ადგილობრივ სამღვდლოებამ ყურადღება მიაქციოს და პატრონობა გაუწიოს, მაგრამ თურმე იმთავითვე იმართა საქმე საუფემოთ არ მიჰყავთ, რამდენი ხანია მათე არა ჰყავთ და იმის ამორჩევისათვისაც თავს არ უღებენ.

* *

სოფ. ნავარევი (ოკრიბა, ქუთაისის მახრა) სოფელი ნავარევი მდებარეობს ქუთაისის მახრაში, გელათის მონასტრიდან 5 — 6 ვერსის მანძილზე. ეს სოფელი თავისი ადგილ-მდებარეობით უმნიშვნელოა. აბა, ვისი ყურადღება უნდა მიიქციოს მებურჰმა ხრიოკებმა და მთა-გორაკებმა. ამ სოფელში ასი კომლი მცხოვრებია. თავზე დაქტვრის დიდი მთა, საიდანაც გამოდის და ჩამოჩანსარებს სოფელში პაწია ნაკადული. წყალი ნაკადულისა მოლიბარებს და მთაზე გემოვებისაა. აედამყოფები ხმარობენ საბანებოლად და მათ შორის ცნობილია სამკურნალო წყალად. ამ ნაკადულის გარდა კიდევ ჩამომდინარებს იმავე სოფელში მეორე ლეღე, მისი დაყოფება ნი-დავი, რა ჩამოქრათ, ეარდის ფერად ჰყავის, პლა-

სტემა, (კეც-კევი მიწები) ზოლ-ზოლად დაუყვება, რომელნიც მინისაგარე ბზინავენ და ხელი რომ მოჰკლეთ მტერად იქცევიან, მაგლა მთის ეაცეზე დგას ტბა, წყლის ზედა პირი ლილის ფრად იმზირება; ძირიდან ამოღებულ ლტეს (დალეკილი ტალახი) სხვა-და-სხვა ქსოვილების საღებავად ხმარობენ, იმავე მთაში ბლომად არის მარმარილოს ქვა, შეენიერი ლირსებით შემკული. ერთი ცნობა მე შეგვირბე შემდეგ ნაირად:

ქალაქ ფოთში ჩამოვიდა დ. ჩხარში მცხოვრები აზნაური თეიმურაზ ტარიელის ძე ამირანაშვილი, თან ჩამოიტანა ნიმუშად რამდენიმე ფუთი შავი ფისი იმ აზრით, რომ გავგო, გამოსადგვია რისთვისმე იგი, რა ლირსებისაა, სად გაიყიდება და რა ლირს ფუთი. ამ კითხვებით მიჰმართა უცხოეთიდან ფოთში მყოფ კამისიონერებთ, რომლებმაც დიდად მოიწონეს და ნიმუშებიც გავზავნეს უცხო ქვეყნების ქარხნებში. ამირანაშვილის ეს ლითონი მისის სიმამრის სიკო ნემსაძის საუბრებზე ადგილში ამ წლის 1 მაისს შემთხვევით აღმოუჩენია. როდესაც ის მწვევარ მეძებრებით მთაში ნადირობდა, კლდის დახეთქილ სასულეებიდან გამოდენილა შავი სითხე. ჰაერის ზედ-მოქმედებისა გამო, კლდეზე მსგავსად შავი ბურთისა, მიზრდილა რამდენიმე ალაგას. ამირანაშვილის ცხელა წელიწად სხვა-და-სხვა მათათ ინტენერების სხლქემში მადნეულობის წარმოებაში დაუყვია; როგორც გამოკლიოთ კაცი, ეს საუცხოველი სანახავი უყურადღებოდ არ დაუტოვებია, მისულა და რკინეულების საშუალებით რამდენიმე ფუთი მოუქრია. როგორც ამბობს ბ-ნი ამირანაშვილი, ამ ფისს ხელის მოქვრით რძის მსგავსი წყალი ვადის, სოთბოში დნება და ს-კევეში კი მაკრდება. შავ ფისში ურცხია შესანიშნავი ქვის ნატეხები, რომლებიდანაც აღმასივით გამოჰკლიობს პაწ-პაწია ნაწილები და ბრწყინავენ. მეც მივიკითხ-მოვიკითხე და აღმოჩნდა, რომ ამ ნივთს ხმარობენ გემების და სანადღების შესაღებავად. აუთიქებში ამ ნივთისაგან აკეთებენ ერთგვარ მალამოსაც (unguentum basilicum) რამდენად მართალია ეს კი არ ვიც. ამირანაშვილს საქმის გამოსაკლევად ფოთიდან გზავნა იტალიელი ზანკალი (მენანიკი). ბ-ნ ავეკროსო ყურადღება იქამდე მიიპკრო ამ შავზე ფისმა და ზემო-მოყვანილმა გარემოებამ, რომ უცხოეთიდან პასუხის მიღებისათავე აპირობს ს. ნავარევი წასვლას და ლითონი წარმოებასაც უნდა მოჰკლდოს ხელი.

არ იქნება ურიკო რომელიმე მკულნე პირმა ამ გარემოების ყურადღება მიაქციოს. იქნება და მართლა რომ სამუშაო გაწი გამოუჩნდეს ჩვენს ლაირბ ხალხს ორიოდ გროშის მოსაპოვებლად.

ვინ არი დამნაშავე?



მღვდელი ა. გულისოვი (ნეტა რატომ გული-საწვილად არ იწერს თავს) გვაუწყებს რა, რომ სოფელ ნინოწმინდის მკვიდრთ განუძრავათ სამრევლო სკოლის დაარსება თავიანთ ძველ სახელოვან ტაძრის სიახლოვეს, დასძენს ახლად განძრავული სასწავლებლის მოწაფეებს შევიძლება მუდამ ღლე უშვირონ იმ ქრისტიანობის ძველ ნაშთს (ნინოწმინდის ტაძარს), რომელშიაც თხოუმცტი საუკუნის განმავლობაში განუწყვეტლივ სრულდებოდა საღმრთო მსახურება და მღვდელ-მთავრობდენ ნინოწმინდელი მიტროპოლიტი, რომელთა შორის მოპოვებოდენ არა მცირედნი გამოჩენილნი და მოღვაწენი სარწმუნოებისა და ღვთის მსახურებისა. რიგანს და კეთილ-მიმართულების მასწავლებელს შეეძლება მისცეს მოწაფეთ მრავალი საწერითელი და ზნეულის ვაკეთილღებო, შევიძლება აღუქმას და განუმტკიცოს მათ სარწმუნოებრივი გრძნობა, რომელსაც დაუკარგავს ჩვენში ძალა და გამხდარა უფერული, ჩვენ, —აწინდელ ქართველებს, სამწუხაროდ არ შეგვიძლია დაქადება სარწმუნოების აღუყვებისა. ჩვენ ვართ უბედურეი ჩამომავლობა ჩვენთა სარწმუნოებით შემკობილთა წინაპართა. რომ მოიწადინოს ვინმე აწინდელი ქართველების სარწმუნოებრივი მდგომარეობის შეტყობა, საკმარისია გადავლოს თვლი ჩვენ ეკლესიებს, ნამეტურ სოფლის საყდრების საკოდაე მოწყობილობას. გვგანებ, დიდი ხანია განვლეს იმ დროთ, როდესაც საქართველოს თავს ესხმოდენ მანგოლები, როდესაც ანადგურებდენ, ბარბაროსულად არბევდენ და აოხრებდენ მას შაჰ-აბასი, თემურ-ლენგი, ნადირ შაჰი და ლეკები. აკრ მთელი საუკუნე სრულდება, რაც საქართველო სტებება შინაგან და გარეგან მოსვენებით რუსეთის თვით-მპყრობელთა ზელმწიფეთა სკივტრას ქვეშ. მეცხრამეტე საუკუნეში დადა ქართველებითის ლომანოსოვის მიერ ქებული „მეფეთა და ქვეყნიერთა სამეფოთაგან შეყვარებული მყოფროება“ თუმცა გარემოებანი, რომლებშიაც ვიმყოფებით, ხელს გვიწყობენ, რომ გამოვიჩინოთ ტაძრებისადმი თულ-მისურვალბა, თუმცა შევიძლება, რომ ვაშენებდეთ თვლ-სანირო ეკლესიებს და ვაშობდეთ მათ შესაფერად, მაგრამ არაფერს ამ გვარს არ ჩავდევართ, რადგანაც, როგორც ზემოთ მოვიხსენე, სარწმუნოებრივი გრძნობა ჩვენში გამქრალი და ფერმიხდილია. არ შეიძლება დაიფაროს ის სამწუხარო მოვლენა, რომ კვირა-უქმე ღღეს ჩვენი ეკლესიები რჩებიან ცარილები; მრევლთაგანი არაეინ დაიარება მათში. იშვიათად, საუფლო ღღესასწაულ-

ში, თუ შემოიხედავს ორიოდ-სამი კაცი. რომ ჰკითხოთ ქართველს, რატომ არ დაიარები ეკლესიაში, გიპასუხებს: არა მცალია, საქმეები მაქვს, არც რიგანად ვარ ჩამცულ-დახურული! ჩემთვის ისიც საკმარისია, რომ დიდმარხვაში ერთი კვირა ვიარე საყდარში, ერთი სიტყვით იპოვინს რამე საბოლოო საბუთის, რომ თავიდან მოვიშოროს. ქართველს სრულებით არ ემეტება ეკლესიისათვის შესწავრა. (მე მხედველობაში მყავდა მდაბო ხალხი, მაგრამ ამ გვიარევა მალალი წოდება). თუ ჩვენი წინაპრნი ათასი თუმანობით აგზავნიდენ პალესტინაში და ათონაში ტაძართა გასაშენებლად, ღიდება და პატრიე მათ! იმათი შესწავრება ჩვენ, —ახლანდელ ქართველებს, — არაფერსგან არ გვიხსნის. მრევლში საბუთის ღრის მრავალჯერ გამოვირთა: „სად გვაქვს ჩვენ ფული, რომ ეკლესიას შევიწიროთ, ან არა და ის არა ჯობია, რომ ჩვენთვის შევიძინოთ რამე? რა ჰქუაა ხარჯი ვაგწიოთ ეკლესიაზე, როდესაც დაბეჯითებით არ ვიცით, არსებობს მართლა საიქოთუ არა? რა ქნას ამ გვიარე შესხედულობის ხალხში მღვდელმა და როგორ უშველოს საზოგადო ვეებას! იქნება ჩვენ გვიხსნან, რომ ქართველები ცარილები არიან და რაღა ეკლესიების გაშენებისაღა ლბოთოთ. არა, ეს ტუტულია; არც ავრე ღარიბია ქართველი კაცი, ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენ ეცხოვრობთ კურთხეულ ქვეყანაში და ჩრდილოეთის მცხოვრებლებთან შედარებით, ვაცილებით უფჯობეს გარემოებაში ვიმყოფებით. რუსი ქართველებზე მდიდარი არ არის, მაგრამ, მიოვნდავად ამისა, იმისი ხელის სიუყვით შენდებოდა და შეენდებთან მრავალი ტაძრები, არამც თუ მარტო რუსეთში, რუსეთ-გარეშეც კი, როგორც მე. პალესტინაში, იპონიაში, ამერიკაში და სლოვანების ქვეყნებში. ჩვენ გვიმჩნევა სარწმუნოებრივი უძრობა, სარწმუნოებრივი თვლენა-ძილი. მრავალნი ყველაფერში დამნაშავეთ თვლიან ქართულ სამღვდლოებას, რომელიც ვითომდა მოუშნადებლათა თვისი სამსახურისთვის, ვერ ღდას სათანადო სიზაღლებზე, დამოკიდებულია საღმრთოს, რომ უწინამძღვარი ხალხს. ქსეთი ბრალის ღება სამართლიანი, მხოლოდ იმ მხრივ, რომ სამღვდლოთა შორის მოიპოვებანი, თუმცა კი იშვიათად, ისეთი პირები რომელსაც არა აქვთ ელემენტალური წარმოდენა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე და ცხოვრებაზე, რომლებიც გამხდარან მღვდლებად არა თავიანთი გულითაი რწმუნების გამო, არამედ ლუკაჲ პურის შესაძენად. საზოგადო კი ქართული სამღვდლოება ღდას თავის სამსახურის სათანადო სიძალღებზე... დიად, წინათ ხალხი ბეჯითად დაიარებოდა მკლესიაში, მაგრამ ეს იმისთვის, რომ მანში თვითონ მღვდლებიც მუყათი იყენ წირვა-ლოცვაზე, იმ

დროს შეუძლებელი იყო, რომ მივდღის დაუდგენლობით თელი თევზით დაკეტილი ყოფილიყო ეკლესიის ქარი. ახლა? ასევე იქცევიან სემენარიაში კურს დამთავრებულნი მღვდლები? მუდამ კვირა-უქმე დღეს აქეთ წირვა-ლოცვა? ყოველ დღესასწაულში ჩამორკეწნ ხოლმე ზარსა? თქვენ უმოჩინილეს მონას შემძლია დაგისახელოთ ქართლში, კახეთში, ერწო-თიანეთში და სხ. ბევრი ისეთი მღვდლები, არა გაუნთლებლები, როგორც ჰკონია, მღვ. გულსოსე, სემენარიაში სწავლა დამთავრებულნი, რომლებიც თეობით ტოვებენ მრევლს ულოცვ-უწირველად, რომლებიც თითქმის ყოველთვის ან საოჯახო საქმეში, ან ქიფში არიან გათულები და ხალხს ზარის ჩამორკეცივთაც არ ატყობინებენ, რომ ხვალ დღესასწაულია. ამისთანა მკვალითები თვით სემენარიანთ მღვდელსაც ბევრი მოგხსენება. დღეს საუფლო დღეა. მაგრამ მღვდელმა წირვა მოაქვინა, ხვალ კვირა, მაგრამ წირვა არ არის, რადგანაც მღვდელი შინ არ ბძანდება. ხვალ ზევით ადგილობრივი დღესასწაულია, მაგრამ მღვდელმა რიდასთეისაც წირვა არ ინება და სხა-და-სხ. ამ წარ გარემოებაში მაშ რა მოუვა საბრალო ხალხს, რომ გულგრილი არ გახდეს სარწმუნოებაზე, რომ არ მიეცეს ზნეობრივად და სარწმუნოებრივად თვლენა-ძილს? დღეს მოეკლინეთ ყელაძენ საქმით საყვ გლეხი მოუძას, ხვალ ლოცვის, ხვალ ზევით ცისკარს, დარწმუნებული უნდა ვიყუეთ, რომ შემდგისთვი ბევრიც რომ ეხვეწო მას, ეკლესიაში ევლარ გავატარებთ. მიანც-და-მიანც, მართალი რომ ვთქვათ, ქართველი გლეხი არც აკრე გულ-გრილია მართლა ეკლესიაზე; მას ისევ რჩება ეკლესიის კრძალულება, შიში და სიყვარული, მხოლოდ ეს სიყვარული მღვდლების დაუდგენლობის გამო, გარეკანია. გლეხს უყვარს ეკლესია, როგორც შენობა, ჰკონის მის კედლებს დიდი მოწიწებით და კრძალით; ამავე კედლებს აკრავს თავისი ხელით ჩამოქნილს სანთელს, უბრალო ყოჩეს სცემს პატებს, წირავს მსხვერპლს და სხ. ვთქვათ რა-მე ხატობა მოდის; ათასი გაჭირებაც რომ ადგეს გლეხს, მაინც თავისას არ დაიშლის, ხატს ვერ უღალატებს, უნდა იყიდოს როგორც იქნება საღმრთო და თავისი ჯგალბობით იხლოს ხატს თავყანის საცემლოთ; მაგრამ თავყანსა იცმს ხატსა არა წირვა-ლოცვის მოსმენით, არამედ კედლებს გარშემო ჩოქით შემოვლითა და მათი კონა-ლოშნითა. ასე დაჩვიეს ხალხი სამრევლო ეკლესიაში და ასევე იქცევა იგი მრევლს გარეშე. ხალხს დაევიწყებინეთ სული, ქრისტიანობის აზრი და ძალა, შევაყვარეთ გარეგნობა, ფორმა, სხეული.

ძველათ ჩენი მოძღვრები განსწავლულები

იყენ საღმრთო-წერილობი: მოხდენილათ, ლხათით და დიდი ხელოვნებით ასრულებდენ წირვა-ლოცვის წესს; მკაფიოდ, გარკვევით და აზროვნებით კითხულობდენ საღმრთო წიგნებს, ტკბილათ და ლობიობრათ გალობდენ ეკლესიებში. ყველაფერი ეს იზიდავდა ხალხს ეკლესიაში და ამას მოჰყავდა მლოცავი სასოებაზე. ახლა? ბევრს ენახება, რა ტანჯება და წვალებას წარმოადგენს ახლად ნაკურთხი სემენარიელის წირვა: „კურსოენიცა“ არ იცის ხეყური კითხვა, არ იცის გალობა და ტბოკონა, სულ უცხობა და უცნაური კილოთი კითხულობს სახარებას და სხ. სწორედ ეს უცოდინარობა საღმრთო წიგნების გონიერულად და გარკვევით კითხვისა, რიგინი გალობისა და საღმრთო მსახურების წესისა, ხდის ხალხს გულ-გრილად ეკლესიაზე და ავდებს მას სარწმუნოებრივ ძილში.

ესეც არაფერი, სემენარიაში კურს დამთავრებულ მღვდელს რომ ეხერხებოდეს ხალხისათვის გასაგები ენით ლაპარაკი, მაინც სამწუხარო ისაა, რომ ახალი „კურსოენიკი“ მოკლებულია ცოცხალი ენის ცოდნასაც; ამის გამო ვერ მიუშართავს მას მრევლისთვის სწავლა-დარიგებით, ვერ აუხსნია ხალხისთვის ქრისტიანობის დოღმატი და ზნეობის ქვეშაირტებანი, ვერ მოუხერხებია გაუწიოს მრევლს მწყემსობა: ქარში ანუ გემოს მადლიანი სიტყეითა, ღმრთო წარმოუდგინოს მოღბინეს ცხოველი სურათი ქვეშაირტი ქრისტიანული სიხარულისა, ერთი სიტყეით ვერ მოუხერხებება დაანახოს და მიახვედროს მრევლი, რომ იგი — მოძღვარი გახარებულია მრევლის სიხარულით და დღონებულია მრევლის გაჭირების გამო. მღვდელსა და მრევლს შუა არ არსებობს კეშირი, ხიდა ჩატეხილი და ამა რა გასაკვირველია, რომ ხალხი გულგრილი გახდა სამღვდლოებაზე. წახდა, დაძირდა ზნეობით! რა საყვარელია ის მღვდელი, რომელიც ჰპან-წყვეტით ასრულებს წირვა-ლოცვას, არას დროს არა მწყისი რწმუნებულ მრევლს და მუდამ იმაზე ფიქრობს, რამეს გამოეჩინე სხვასაო, „ამისთანა მკურნალს ვაქებ, მივლესადგეს ფაზარ-სუთოს, არ თუ მასა უწამლობით პირში სული ამომხეთოს“. ნათქვამია ძველადვე.

ახლა იქნება ბძანით, რომ სემენარიაში კურს-დამთავრებული მღვდელი შემდგეში ხელოვნდება ქართულ ენის ცოდნაში, ორ-სამ წლის შემდეგ იქცევა საღმრთო წიგნების ჯგროვან კითხვას, გალობას და ერის დამწყესას სიტყვა-ქადაგებითა. დიდა, მოაზობებია ისეთი სემენარიელებიც მღვდლებში, რომლებიც თავიანთი მეკადინეობათ და ბეჯითობით, რამდენსამე წლის შემდეგ, იძენენ სამშობლო ენის ცოდნას, უახლოვდებიან გლეხკაცობას, ირკვევენ

მათ ვაჭირებულ ვარემოებას და ხმარობენ შესაძლო ღონისძიებათა, რომ გაუმჯობესონ თავიანთი მეზობლის ყოფა-ცხოვრება. სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ ამ გეარ კეთილ-გზას ადგება ოცნი ერთი, ცხრამეტი კი ჩაიცივდნენ თუ არა ანაფორას, აქა და სემენარია გაფთავებთო, ჰგონიათ, სწავლითაც სრული ვართო და არამც თუ აღარ ცდილობენ ახალი ცოდნის შეძენას, იმ ცოდნათა ნაწყვეტებსაც მალე ივიწყებენ, რომლებიც სახელმძღვანელოებიდან ჰქონდათ ამოწერილებულინი, ამ გეარ მღვდლებს ხალხში თავგამოსადებათ და დასაცეხად თავიანთი „კურსოენიკობა“ და „სტუდენტობა“ აქეთ და ეს თავიანთი უპირატესობა უსწავლელ მღვდლებთან შედარებით აზრათაც არ მოსდით დაუმტკიცონ, ყველას გონების განვითარებით, თავიანთი ცოდნით და განათლებით; ყველაფერი ეს რომ სრული სინამდვილეა, სხვათა შორის იქიდანაც ცხადდება, რომ თუმცა მომეტებული ნაწილი სოფლის მღვდლების სემენარეოთავანნი

არიან, ვერც ერთ ჟურნალში და გაზეთში ვერ შეხვდებით მათ ქადაგებას და მოძღვრებას.

არც ზნეობრივი მხრით დგანან ახალი „კურსოენიკები“ და „სტუდენტები“ მონასტრებში გამოზდილ მღვდლებზე მაღლა, ჩვენ არ შევედგებით ამ კითხვის დაწერილებით განაილებაში, მაგრამ ვისაც ნებას სინამდვილისა და პირუთენელი ქეშმარიტების შეტყობა, ვთხოვთ მიზანადეს იმ მხარეს, სადაც მსახურებს მღვ. გულისოეი და გამოპკითხოს ხალხს „კურსოენიკი“ მღვდლების ყოფა-ქცევა, მათი პატივსაცემება და სინიდისი.

ნათქვამს შემდეგ, გვანებ, ადგილი მისახვედრად რისგამო დაწინა ჩვენმა ერმა უკან ზნეობით და ვისი წყალობით შეიქმნა იგი გულ-ცივი სარწმუნოებაზე. ქეშმარიტად საწყენია, რომ „ვენი აესა თეით იქმენ და სხეას კი ძრახვენ.“

ჩხოველი



მე ასე, ჩემო სამშობლოე, უნდა მოგშორდე ეს არი, და სხეგან ვადავიხვეწო, მარადის შენთვის მკენსარი! შევიდობით!.. მაგრამ ვანა მე მარტო ხორციით არ გშორდები? ფიქრით, გრძნობით და გონებით ისევ შენთან არ ვიქნები?

ვანა, თუნდ ცხრა მთას ვადალიძე, ვერ ვიგრძნობ შენს ტკივილს. ვერ ვაგიგონებ შენს ოხვრას, მოთქმას, ტირილს და ჩივილსა? —

კი, მაგრამ ჩემო ძვირფასო, მეყო, რაც სხეგან ვიყავი; გულით მიწოდდა, აწ მაინც სულ შენთან ვყოფილევყავი.

რომ შენთვის შემომეწირა მთლად ჩემი ღონე და ძალა, მოყვარე მეხარებინა, მტრისთვის მესმია სამსალა! მიწოდდა, მაგრამ ვაი, რომ არ შემისრულდა სურვილი და გულშივე უნდა ჩავიკლა ჯერ ხანად ჩემი წყურვილი!..

დუბუ მგერული

იანისი 1894 წ.

გამ. „ივერიის“ ლინგვისტი.



ართული ენა, ჩემო მკითხველო, დღეს ყველამ იცის, დიდმაც და პატარამაც, ეს იმით, რომ ქართულ ენას თურმე შესწავლა არ ჰკირებია; მხოლოდ ეს ერთი საქმეა ქართულ ენისთვის საჭირო: ანაზი დისწავლოთ! ამ პირველ სიძნელეს თუ გადაბიჯებთ, მეტი არაფერი გინდათ, ქართული ზედმიწევნით გეცოდინებათ, პირველი ლინგვისტი შეიქნებით!

ამის დასამტკიცებელი საბუთი თუ გნებებთ, წაიკითხეთ ამ წლის „ივერიის“ № 139. ვილაც გიორგისძე, რომელსაც, როგორც ჩანს, ქართული ანაზი ავტო—ახლა გაუთავებია, კალამი ხელში აუღია და მჯდარა და ვაზ. „ივერიისთვის“ ქართული ენის შესახებ მეცნიერული სტატუა გამოუცხვია.

გავსინჯათ თუ რას ამბობს ეს „ივერიის“ ლინგვისტი.

ბ-ნ გიორგისძეს ჩამოუთვლია რამდენიმე ახალგაზდა მწერალი, რომელნიც, მისი აზრით, „მკობენ“ ლის განსაკუთრებულს ყურადღებას იქცემენ ენის

სიშვენიერით. და იცით, პირველი ადგილი მის თვალში ვის უჭირავს ამ შვენიერი ენის მექონე მწერალთა დასში? — თ. სახოკიას და ჭარაიას!.. პირველად რა წავიკითხე, ვიფიქრე შეიძლება მოამყენე და პატრიცეპული ლინგვისტი სხვას ვისმე ასახელებს-მეთქი, და მეორეჯერ, მესამეჯერაც გადავიკითხე — მაინც იგივე: სახოკია და ჭარაია, სახოკია და ჭარაია!.. თავი დავენებთ ყველა სხვებს, რომლებმისათვისაც ბ-ნ გიორგისძეს ქართული ცოდნის დიპლომები მიუყტა (არა ვგონებ, რომ ვილაც გიორგისძის დიპლომი ვისთვისმე სასახლეო იყოს), მაგრამ ესენი ვინდა არიან — ეს სახოკია და ჭარაია?!

ჯერ ერთი ეს გვიბძანოს ბნმა გიორგისძემ: ლიტერატურაში მათ რა მიუძღვით, რომ მათი ენა ვისთვისმე საყურადღებო იყოს? ერთი-და დავიწყებია ბ-ნ გიორგისძეს: ჭარაიასთან თვით გიორგისძემ რატომ არ მოიასენია? ვინ იცის, ვგებ ჭარაია და გიორგისძეს ორივე ერთია და ჭარაიასაც ისე იცოდეს ქართული, როგორც გიორგისძეს ცოდნია! და გიორგისძეს რომ ზედმიწევნით ცოდნია ქართული ენა, აი, ნიმუშები „ივერიის“ ზემოხსენებულ ნიმუშები:

1) „აღარბგულია“: — ჩანს ბ-ნ გიორგისძეს არც სალოთა წყრილი წაუკითხავს, არც ზერიანი ქართული წიგნი და არც ქართული გრამატიკა (აკი მოგახსენეთ, „ივერიის“ ლინგვისტებისათვის აწიანის მეთი არაფერია საჭირო-მეთქი!), თვრა ერთი რომელიმე ამათვანი რომ წაუკითხა, ცოლინებოდა, რომ არის ზნა ადსრუას და მისგან ნამყო ღრის ენებითი მიძღობა ადსრუაული, და არა ადსრუაული 2) „მწველულინი“: — ზნისაგან სწავა მიმღობა არის სწავლული, — ამ თავში რის მაქნისია?!

3) „საქრთონა“: — არის სიტყვა კრი და იქიდან ზედსართავი საქრა; საქრთონა ისე არ ითქმის, როგორც სასასლონა.

4) „ახალგაზღვებში იღვს თავს“: — რა ქართულია ეს იღვს თავს?!

5) „ჰკრეხავს“, „ჰშელავს“, „ჰკეცეცავს“, „ჰჩხელეტავს“: — უნდა იყოს: კრეხს, ზელს, ჩხელეტავს, კეცეს და სხვ.; აბა რომელი ქართული ენის მოკლენი იტყვის ზეჯავს*) სამის ან ოთხის წლის ბაღნები კი

ამბობენ „წელავსო“ (ვითარ წელსო) და „ივერიაც“ ხშირათ ხმარობს „წერაჰსო“; მაგრამ ბაღნები და „ივერიაც“ რა საბუთათ მოსაყენი არიან?!

6) „აწერიონს თაიგინებურ კილოვაჰს“: — კილოვაჰსო კი ვავეიგონია, და ეს კილოვაჰსე ნეტა რა სიტყვის ნაწილია? ნუთუ არსებით სახელად გაღუქმნა ბ-ნ გიორგისძეს.

აი, ბატონებო, რა უფიციო მაგობნელები გამოღიან სალიტერატურო ასპარეზზე და კიდევ სხვებს წამებენ უფიციობას! სახოკია-ჭარაიების მაქებარი ბნი გიორგისძე „მოხუცებულ მწერლებს“ („ბებერსო“; — გიორგისძე ბძანებს!) ქართულის უცოდინარობას წამებს, და თვითონ კი „ივერიის“ ერთ სვეტ-ნახე-ვარზე მთელს ძვეს უტყუარ შეცდომას ჩადის!.. მეჩე რა შეცდომაა ის, რომლისთვისაც აღჭურვილია „ივერიის“ კრიტიკანი, ეს უჩინარი ლინგვისტი? მიგ უყარონა, მისგ უნდაო. მართალი თუ გნებეთ, უფრო კანონიერია მიგ და არა მისკა; აქ კითხვა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომელია უფრო კეთილშეიანი. მიგ ნიწნავს შიმაღვას, შიმაჰურტკო! **) რამდენი სიტყვაა, რომ ორ-აზროვანია, მაგრამ წინადდებამი ყოველთვის ადვილათ გაიგება, როდის რას ნიწნავს. „ომონიმიბი“ ყველა ენაში არის, და აგრეთვე ჩვენსაშიც. დღეს-დღეობით ზოგი ხმარობს საჰკავა, ზოგი თჰკავა, მისწერა — მიწერა და სხ. და სხ. რამელ ფორმას დარჩება ბურთი და მოედანი, ამას მომავალი გამოაჩენს, ჯერ კი გადაუწყვეტელია. ხოლო საეალალო ის არის, რომ ბ-ნ გიორგისძეს და მისთან ერთად „ივერიის“ რედაქციას, რომელიც ადგილის აძლევს უფიცი თსაფუძელთა ნაჯღაბნს, ისიც არ ცოდნითა, რაც ღიღის ხნის გამოკლუებული და განსაზღვრულია.

სილოვან


ქეთანო.

*) მართლად, აწანს ზოგაერთია ზნებუ რომელნიც მიადგენ დახოლოვას, აჯავს; მაგალითად: სეჯავს, ჰეჯავს, კერავს; მაგრამ ზემოხსენებული ზნებუ კი არ ეკუთვნებათ იმისთანა ზნებავს რავს.

**) ჩვენს განმატავისუფლებს აწმდის ვერ შეუგნათ, რომ ლოგავკრა კანონება სხვა არის ზნოვანებაში და განმატავული კანონება სხვა.

ავტ.

ავტ.



სხოველთა სხოვერება ზღვა-ოკეანეთა უფსკრულში

III




ემთ ვთქვით, რომ წყლის სიძიმიმე ათას საყენის სიღრმეზე, თითო კვადრატულ დიუშს 75 ფუთის სიძიმიმე აწევბაო. ახლა საინტერესო

სოა შევიტყოთ როგორ უძღებენ ზღვა-ოკეანეთა ცხოველები ამ საშინელ სიძიმიხს ძალას, რამდენივე ვერსის სიღრმეში? რკინა ხო რკინა, მაგრამ ვეგებრთელა ლოდის ტალა რკინას, რა ამ სიძიმიმე რამ დააწვეს, ისიც კი მაშინათვე მტერათ იქცევა და აბა თვეზების ან სხვა ცხოველების ჩელო ტანს რა შეუძლია?!



27
20



Handwritten signature or mark in the top right corner of the illustration.

სივლილმა სავანებში რეკლამის კრებულს დაელოდა

აღის ასახსნელად საქმაოა გავისსნოთ ფიზიკის კანონი. ცნობილია, რომ ჰაერი, რომლითაც ჩვენ ვსუნთქავთ, ორასი ვერსის სისქეთ ვარს არტყია დედამიწას. მაშასადამე ჩვენ და ყოველ სულიერ და უსულო სხეულებს და საენებს 200 ვერსის სისქე ჰაერი ვვაწვდით თავზე. მართალია ჰაერი ვაზა, ორთქლის, ანუ ომზიერის მსგავსი, მაგრამ დამტკიცებულია რომ ჰაერსაც წონა აქვს. გამოანგარიშებულია, რომ ერთი კუბიკური ფუტი ოთახის ჰაერისა რვა მისხალ-ნახევარს იწონს. ერთ შაურთანის ტოლა აღვიღს 16 გირენაქის სიმძიმე ჰაერი აწევბა, აც რომ სტოლს, რომელიც სიდიდით ათი კვადრატული ფუტია, 576 ფუთი ჰაერის სიმძიმე აწევბა! მაგრამ რა, განა ერთი გოჯის სისქე სტოლის ფიცარი 576 ფუთის სიმძიმეს გაუძლებდა? ან სტოლის ფეხები დამიარგებდენ ამოდენა ტვირთს?

თითონ ჩვენც, ყველა შაურთანის ტოლა აღვიღებ 16 გირენაქა სიმძიმე გვაწევბა და უკეთუ აქ სხვა კანონი არ მუშაობდეს ლავაშის სისქეთ ვაეიკუტობდით. მაგრამ ჩვენდა საბედნიეროთ ბუნების ისე ვანიერულიად მოუგებრებია, რომ ჰაერი და მისი სიმძიმის ძალა ყოველივე სხეულს ბუნებისას, ყველა მხრიდან ერთნაირად აწევბა—ზემოდან, ქვემოდან და გვერდებიდან ერთნაირ ძალას ატანს.

სტოლი იმიტომ იმაგრებს 576 ფ. ჰაერის სიმძიმის ძალას, რომ ქვევიდანაც ჰაერი სტოლს იმოდენივე ძალით აწევბა და ბოლოს ორივე ერთნაირი ძალით, ერთმანეთის მოპირდაპირე, ერთმანეთსავე სპობენ და სტოლიც სრულებით უტვირთო და უფეხელი რჩება.

ყველა აქ ნათქვამის საცდელათ და დასამტკიცებლათ თასნაირი ფიზიკური იარაღებია გამოგონილი. ჩვენ შეგვიძლია სულ უზრალო ხერხით ხელდახნელ ცვალოთ: 1) ბოთლი პირთამდე წყლით ვავსეთ, ერთი დიდი ჯამი ან სხვა რამ აიღეთ და შიგ კოტა წყალი ჩაასხით, წყლით სავსე ბოთლი ამ ქურქელში მოაპირქვეით ბოთლიდან წყალი როდი გამოვა. 2) ჩანს ჰიქა პირთამდე წყლით ვავსეთ, ზემოდან ქალაღი დაფარეთ, მერე ხელის გულით დააწეკით და მარდით ვადმოაბრუნეთ ჰიქა, ბოლოს ხელის გულით მოაშორეთ—მოპირქვეიებულ წყლით სავსე ჰიქიდან არც ერთი წვეთი წყალი არ ჩამოვა და

თითქმის ერთ გირენაქა წყალს პატარა ქალაღის ნაკერი დამიარგებს.

ეს ორივე ფიზიკური მოვლენა იმიით ისწვება, რომ ჰაერი ქვევიდანაც ისეთის ძალით აწევბა ყველა სხეულს, როგორც ზევიდან. მაშასადამე ქვევიდან ჰაერი იმოდენა ძალით მოაწვა ქალაღის ნაკერს, რომ ერთ გირენაქამდე წყალი შევაპრებინა,—ქვედა ძალამ ზედა ძალას აჯობა. ვისაც ფიზიკა და მისი კანონები გვისწავლია ჰაერის შესახებ, ზემო ნათქვამ ქეშპირების დამტკიცება აღარ გეპირია.

რაც ჰაერის შესახებ ვთქვით, იგივე ითქმის წყლის შესახებაც; მხოლოდ ის კი უნდა ვიკანოთ მხედველობაში, რომ წყალი 770 ჯერ სქელია ჰაერზედ, ესე იგი წყალი 770 ჯერ მძიმეა ჰაერზე როგორ კანონებსაც ჰაერი ემორჩილება, იმავე კანონებს ბუნებისას წყალიც ემორჩილება. ესე იგი რა ძალით და სიმძიმით წყალი ზევიდან აწევბა სხეულებს, იმავე სიმძიმით და ძალით ქვევიდანაც აწევბა და გვერდებიდანაც, ერთი სიტყვით ყოველ წერტილს სხეულისას, ყოველ მხრიდან წყალი ერთი და იმავე ძალით აწევბა, სამაგიეროთ თევზის სხეულის ყოველივე წერტილიც იმოდენივე ძალით წყალს აწევბა.

მაშასადამე ამ მხრითაც თევზებს ისე არ უტყობებთ ზღვა-ოკეანეთა უფსკრულში ცხოვრება, როგორც ჩვენ არ გეპირდება ჰაერში ცხოვრება,—ქეშპირად რომ ვთქვათ, როგორც თევზები წყალში ცხოვრებენ და დაკურავენ, ისე ჩვენ ჰაერში ვცხოვრობთ და დაცურავით. როგორც თევზი უწყლოთ ვერ გაძლებს, ისე ადამიანი და ყოველი ცხოველი, ასე ვასწავთ მტერარეც კი, უპაიროთ ვერ გაძლებენ.

ამასთანავე, მეცნიერები იმ შხრისაც აზიან, რომ ზღვა-ოკეანეთა უფსკრულში მცხოვრები ცხოველები, რა პირობებშიაც დაბადებულნი და სხეული შეუსხამთ იმავე პირობებით არიან ვარემორტუშული.

მაშასადამე იმ სიმძიმე წყლის ძალა, ისე არ არის მათთვის საზარალო, როგორც ჩვენთვის ჰაერის სიმძიმის ძალა.

აი, ამ კანონების ძალით, რა სიღრმეც უნდა იყოს ზღვა-ოკეანეთა უფსკრული, ცხოველებს ცხოვრება მინც უზარალოთ შეუძლიათ. და ყოველ სიღრმეში ისე ადვილად დაკურავენ, როგორც წყლის ნაპირას.

ილ. აღმაზრშელი

(შემდგე იქნება)

სადი კარნოს მკვლელობის გამო



ილა ქვეყანა! აწყო ხალხთ შორის სახელოვანათ აღსარებულა! სისხლ-ღვრით შობილია, უკეთეს შეიღის ღღესაც სისხლის ღვრით გაშვარებულა!

რას ნიშნავს შენი ეს დღევანდელი მფოთვა და დრტინვა, ცრემლოთა ღვარები? ნუ თუ ვერ ჰპოვე ბედნიერება, კვლავ დაწმული გაქვს მისი კარები? ნუ თუ ეს შენი „თავისუფლება“, ქმეული „კომბა“, „თანასწორობა“—

მხოლოდ სიტყვაა, და ვით სხვა ხალხებს, კვალად გულს გიღრღნის შური და მტრობა?!

„თანაწორობა“!.. მაგრამ დღესაც კი ეს შენი კოშკი ეიფელის მოწამე არის ბევრის სურათის, სულის მტანჯავის, გულის მწველისა.

აი, დამჯდარა მის საფეხურთან ძონძში ხვეული გლახა საწყალი, და ცაში ასულ მწვერვალისათვის მას მიუბჸურია მწუხარე თვალი.

ფიქრობს: „მკლამეაგარს ნეტავი რათა— ლუკმა პურიც ვერ შემიძინია? ან მე რათ მშობა, ან რისთვის ამ კოშკს მწვერვალი ცაში მიუბჸურია?!

„ყოველ ნაბიჯზე დიდებულ ხალხში რათ არის ჩემებრ მშვიერ-მწყურვალი?.. და ამ კოშკსა კი—თითქოს დაგკენის— აუტანია ცაში მწვერვალი!“

სუ!.. აი, შენი კოშკი მალაღი კიდევ რას ხედავს: ხალხის მკარცელებს! ღარიბებისთვის წაურთმევეით მათ ლუკმა პური,— თვით ხალხის მკველებს!

ბევრს სხვასაც ხედავს ურიგობასა,— ეს გულსა უღლავს, თვალსა უღალავს, და თვს უღირსად ამაღლებულსა, ხშირათ სირცხვილით ღრუბლებში მალავს.

ის ამბობს გულში: „ჩემო სამშობლოე! სხვებს მაგალითი, გმართებს, აჩენო: სადაც სიმშლით იხოცებიან, იქ გმო სიმღიდრე და შმაჩენო.

„თანაწორობა“! დიდსა და მცირეს პუღნიეგუა მიეცი სრული!.. მაგრამ... ოხ, ღმერთო! სად არის მისი ან დასაწყისი, ან დასასრული?!

ს. ლოკან

ქუთაისი 29 ივნისი 1894 წელს.

მცირე შენიშვნა



მ ერთის წლის წინად, როცა მატერიალურად ერთობ შევიწროებული ვიყავი, შეგვიჩინე ჩემი ლექსები და ვადავეცი გამოსაცემად ერთ ჩემ ამხანაგთაგანს, რომელიც ავერტად ითვლებოდა და ითვლება დღესაც თბილისის „ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობისა“. წიგნის დაბეჭვდა იკისრა ზემოხსენებულმა ამხანაგობამ და დაბეჭვდა კიდევაც; ხოლო რადგანაც გამომცემელმა დაბეჭვდის ხარჯი (88 მ. 30 კაპ.) ვერ გაისტუმრა, გამოცემა დარჩა ამხანაგობას და ჰყიდის წიგნებს თვითონ.

ახლა, რადგანაც მე მატერიალურად უზრუნველყოფილი ვარ, მთელი წმინდა შემოსავალი ჩემის წი-

გნიდან*) შემეწირავს „ქართული სალიტერატურო ფონდისთვის“. ამიტომ უმოჩინესად ეთხოვ „ქართველთა ამხანაგობას“ გაყიდული წიგნების ფულიდან თვითონ აიღოს გამოცემის ფასი და დანარჩენი ან წიგნებად, ან ფულად გადაცეს „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ „სალიტერატურო ფონდის“ სასარგებლოდ. თუ ვინცობაა, ვერ არ გაყიდულა იმდენი წიგნი, რომ გამოცემის ხარჯი გასტუმრებული იქნას; ამხანაგობამ თქვენის ვაზეთს საშუალებით გამოაცხადოს ანგარიში და რაც დააკლდება გამოცემის ფასს, მე თვითონ გადაუხდი...

დაუბეჭვდა

*) წიგნის ჭკვია „ცნებულები“, დაიბეჭვდა 1200 ცალი. თითო ცალი ღირს 25 კაპ.

თავ. ილია ჭავჭავაძის ლექსები

(ტომი I, 1892 წ.)

1858 წელი *)

1858 წელი იწყება ლექსით: „გაყვარდეს!“ სიბატარაისა გამო ამ ლექსს სრულიად მოვიციენთ აქ:

*) გამოცემულთა შედგომამ ჩვენს შეცნობაში შეგუგუნა: 1857 წლის ლექსები ოთხ გააგრძელოთ, იქვე

„გაგრა, გაყვარდეს!“

ვით შთამომასეს, როს მათ დამაჯეს. შეეღვანეს ეს სიტუგა, ღამმზად წინ მიშუგა და ქვეუნად ჩემს სულას

უნდა მოაგუგესესება ლექსი „სიმღერა“, რომელიც შეცნობით 1858 წლის ლექსთა რიცხვშია დაბეჭვდილი. ეს ლექსი მანინ გერ შეცვლის ჩვენს აზრს 1857 წლის ი.

ქსტემა წმინდ ნათელს,
მისთვის გეტყვი ძმას:
შენცა გაუკარდეს!..

თუ გნებავთ, დავიჯეროთ, რომ „სათ შთამო-
ძახეს“ პოეტს, გიყვარდესო, მაგრამ ეს კი არ შეი-
ძლება დავიჯეროთ, რომ „სათ“ დავიწყებოდათ
იმის განმარტება, თუ რა უნდა ყვარებოდა ჩვენი
პოეტს: კვლევითა ხევენა-ალერსი, ყომაზბაზობა და
საზოგადოდ ამ სოფლიური შეგება-ლხენა,—თუ ადა-
მიანი? და თუ ადამიანი, ისიც რა გვარი: ბუზმენ-
ტემ-ეპოლეტიზანი, თუ ძონძებში გახეველი? ბო-
როტი თუ კეთილი? ჩვენ იქვი არა გვაქვს, პოეტს
„სანი შთამოძახებდენ“ უთოვდ ქრისტეს მოძღვრე-
ბას: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შე-
ნი“, მაგრამ საქმე ის არის, რომ აზრი ყველასა-
თვის ნათლად უნდა იყოს გამოთქმული.

„სტემა წმინდ ნათელს“:— თ. ილ. პეკუაძე
მეტად ხშირად ხმარობს ენის დამამახინჯებელს ამი-
სთანა გამოთქმებს, შემდეგ წლებშიც შეხედებით ასე
უმსგავსო შემოკლებულ ბრუნვებს, მაგალ. ერთ

ჭკუჭკამის ლექსთ შესასებ, რადგან ეს ლექსი ამ წლის
სხვა ლექსთ უსუსტესი თუ არის, თვარ უტყუასა არ.

„მაგრამ გვარობა, შესვალ დიდს ზღვას და იქ ჩაჭლუპავ
ჩემს ნახეს,
და მარად შენი წული წაშლის ჩემს ურტყას გვა-
ლსა...“

თუ ეს მაქვს გარდუვალი, ვსწევლი ჩემს შობის წამსა“.

გარტან უშნო გამოთქმას გარდა, ეს ლექსი შესა-
ნიშნავია უსიმბატო მინარსითაც. ასაღვანდა პოეტი
ქუსს, რომ „სეირთი წუთი სოფლისა“ ზღვაში შე-
ცურებს მის ნახს და იქ ჩაჭლუპავს; პოეტი ქვეყლის
„თვისი შენს წამს“ იმიტომ, რომ „მოაწენილ სიგო-
რისდის მდინარე“ წაშლის მის „ურტუე კვალსა“. არ გე-
მისის რა არის საგალო, რომ ვისიმე ურტყები კვლი
ცხოვრებაში წამოშლის და მოისხოს?! პოეტი ასე აბო-
ლოკებს ამ ლექსს: „არას, თბლად მცურავს, შედ ჩემს
მდინარე ნახს, ჭოი, გვედრებ, მდინარე, იმ დიდ ზღვაში
ნუ შეგურავ; ასაღვანდა პოეტს უფრო შეშენის წინ-
დაუხედავი უშისობა თვისი შეგუდთან ბროლოში, ვი-
დრე ამ გვარი ქედმოსრიალება და ცრემლმორეული გე-
დრება უწყლო ბუდის წინაშე. ჩვენს პოეტს აურტუე
კვალდ“ ვერ გაუწინავს წასაშლელი, და ნიკოლოზ ბე-
რიაშვილი კი თავსა სწინარეს— და მტერს კი არ ემორ-
ხილება: „დაუ მოგვედ მე უშატრონოდ მისგან ოსური!
ვერ შეპაშინოს მისმან პასმან მოსისხლე მტერა“ო. ეს
იმიტომ, რომ გაუშინათ მეფასან კარგათ ესმდად სხე-
ლის თქმულობა:

„მტერი არ შეგვიპარდებენ ტირილითა და გიშთა“ .
პეტ.

ლექსში: „ან შენ მაშინ რა იცოდი, ან შენ გეცა
რა იცოდა“... ნუთუ სახელოვანი პოეტი არ არის
დარწმუნებული, რომ ამისთანა უმსგავსი ფორმები
სასაგებას დაუქარავს ყველას. „ეინცა ისმენს კაცი
ვარგა“?!

„მისთვისაც ვეტყვი“:— ამ გვარს უკეთილზო-
ვანო შემოკლებას სიტყვებში (ვისც, რაც, სად და
სხ.) ხშირად ხმარობს ჩვენი პოეტი თავის თხზულე-
ბაში, თითქოს ისინი ხელისხელ საგომანებელი
იყონ...

„უცსოეთი“

ამ ლექსის შინაარსი საკმაო მასალას აძლევს
პოეტს, რომ თავის გულის ტრაკეა სამშობლოს ცის
სიშორის გავი გრძნობით და ნათლად დედატა ჩვენს
თვალწინ. პოეტს გული ქმუნვით ქონია სავეს უცხო-
ეთში, რომ თავის მშობლიურ ცის მაგიერ უცხოე-
თის უფერულ ცას შეჰკეტროდა; მაგრამ შემოქმე-
დების ძალის ნება არ მიუტია, რომ თავის გულის
ვარამი ჩვენთვისაც დაენახებია.

„ყოველი ჩუმობა გარშაო ჩემსა“:— გარშაო-ს
მაგიერ უნდა იყოს გარშაო, რადგან თავსართები
შე და შაო მწერლობაში უარყოფილია (შემოვიდა;
შეიტანა, და არა შამოვიდა და შაიტანა).

„ქეშმარტება“

ა. ს. პუშკინის მოუტლია ამ ლექსის (Истина)
დაწერისათვის მაშინ, როცა ის ჯერ კიდევ ერთბ
ახალგაზდა იყო და ლიცეოში სწავლობდა. საზოგა-
დოთ, პუშკინის ამ დროს ლექსები არაფერს წარ-
მოადგენს თავის შინაარსით, თუმცა გარეგანი მათი
ფორმა ლამაზია და პოეტური, და ეს ლექსი კი მთ
შორის უსუსტესია, ასე რომ მას პოეტის განსაკუ-
თრებული ყურადღება არ უნდა დემსახურებია.

ამისთანავე თარგმანიც სუსტია. პუშკინი ამბობს:
„Издана мудрые искани“, ჩვენი პოეტი თარგმნის:
ასის წინათ ბრძენნი ეძებდნენ“—ო. ორიგინალის აზრი
იცლდება, რადგან издана სება არის და ასის წინათ—
სება.

„ასის წინათ ბრძენნი ეკებდენ
ჭეშმარიტების დაიწყებულ კვალს.
დიდხანს და დიდხანს იგინი სხინდენენ
მოხუცებულთა უწინდელთა აზრს“.

თუ ლექსის შინაარსი სუსტია, გარეგანი ფორ-
მა მაინც უნდა იყოს ხეირიანი, და, აბა, რა მუსიკა
ისმის რითმებში: ეკებდენ—სხინდენენ, კელს—
აზრს!?

აქვე უნდა ეთქვას, რომ ბევრს ჩვენს მწერალს
და განსაკუთრებით მათს წარმომადგენელს თ. ილ.

კავკაზებს, დღემდის ვერ შეუტენიათ, რომ ქართულ წმინდებში დაბოლოება ღწუნ მეტათ აღუწნობეს ქართულ ენის გარეგან სიშვენიერებს. დაწვეწვენ, ამოიფხვან, გაწყრნენ, დათვრნენ, გაძღუნ და სხ., — ამგვარი ფორმები მხოლოდ იმისთანა ადამიანს არ ენათიერება ყურში, რომელიც სმენას და მუსიკალურ გემოვნებაზე მწყურალათ არის. რასაკვირველია, გარშემორტყმულ ხალხის ჩვეულებასაც აქვს გავლენა ამ შემთხვევაში, მაგრამ პოეტის ბრძოლს არ უნდა ემორჩილებოდეს და ხალხის ენის მრავალგვარ ფორმებში უშვენიერესი, უმუსიკალურესი უნდა აირჩოს.

* *

„რა ტკბილად აწის, ოდეს წვეკვად ღამეში“
(თარგმანი ვალტერ სკოტისა).

ეს პატარა ლექსი კარგი ნათარგმანი იქნებოდა, რომ მთარგმნელი ჩვეულებასამებრ მეტათ უკეთილზნობიანო რითმებს არ ხმარობდეს ყოველგან. რა კარგი იქნებოდა ეს სიტყვები, მუსიკალური დაბოლოებანი რომ ქონდეს:

„აღ, ვით ფრინველი, მოაღვრეს მისი,
ფრინველ დისკუნა სხინი გალობას“.
„მეუდაზნისა“ (ნათეს. ბრ.) შეტომავა; მეუდაზნოე — ნათეს. მეუდაზნოეს; თუ პოეტმა რითმისთვის იხმარა უკანონოთ, ვერაფერი რითმავა მეუდაზნისა და უურსა.

ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ლექსი სულ ურითმოც შეიძლება იყოს და მაინც მუსიკალური და ჰარმონიული გამოდრდეს! მაგრამ საქმე ის არის, რომ როცა ლექსი ურითმოთ იწერება, მკითხველი თუ მსმენელი აღარ აქცევს ყურადღებას დაბოლოების მუსიკას: ამ შემთხვევაში მოშიარეს კიდევაც ნაკლებად ეგანება ჩათვლებავ, თუ აქა-იქ რითმები იხმარა; ხოლო, თუ შიარით თავიდანვე გართმულია, მაშინვე სმენა ყოველის მოითხოვს კეთილზნობიან დაბოლოებას. ეს უნდა იქონიონ ამ ჩემის წერილების მკითხველებმა მხედველობაში და ამით ახსნან ის გარემოება, რომ მე დიდ ყურადღებას ვაქცევ შიარების დაბოლოებათა კეთილზნობიანებას.

„ს ტ ი მ ო დ ე თ!“

(ლორდ ბაირონის ებრაელი მელოღია).

ეს ლექსი არ არის ხეირიანათ ნათარგმნი. შინაარსის სინამდვილე დაკულია, მაგრამ ენა კი — ჯვარტყულია:

1) „მით, ვისც ტაძარნი ნანგრევ არიან“: — ეისც, რასც; სადც. — ენის სამტრევეი ფორმებია. „ნანგრევ არიან“ — უწნო ლიცენცია.

2) „არა რა არს რა“: — ამდენი „რა“ რა ამა-ვია!

3) „რომელ წყაროში დიდ ისრაილი დიბანს თვის ფეხთ აღსისღებულთა“.
სახელობით ბრუნვაში ზედსართავი სახელი არ შემოაკლდება, მაშასადამე დიდ ისრაილად არ ითქმის; აღსისღებულად ფესიფ არ გავიგონა.

4) „უბო, ფისია სვლით მოწულეთია, ... ვით აღფრინდები სამშვიდა ადგის“...
აზრი ზნელია; ეპიტეტში მოწულეთია და სამშვიდა აქ შეუფერებლათ მიგაჩნია.

5) „სტროდეთ... სადაც ღმერთი იმ მტრიალთ იმყოფებოდა, იმა ალგასა არიან ეისაც ღმერთი არა ჰყავთ“.

აზრი ზნელია და სიტყვათა წყობა — სულის მხუთავი.

„ა ა ზ ა თ ხ უ ლ ი“.

„ვიმ, გას ფსული
მოდის მომთული
მოდის და მოაქვს
ვით სისარული
განსაღებული,
გაცოცხლებული
ჭაბინოს და ქსტკებავ
ველად სუდაგმული“...

ძლიერ კარგი იქნებოდა ეს ლექსი, რომ ბოლომდის ასე იყოს გაგრძობილი; მაგრამ ამას ქვეით იმისთანა სიტყვები და ფორმები უხმარია პოეტს, რომ მკითხველს პოეზიისადმი ყოველსავე სასიოებას და ხალხის დაუქარგავს:

1) „ბელურა იქ მღერს“: — აბა სად და როდის უნასაც პოეტს, რომ ბელურა მღერდა? ერთი რომ — საზოგადოთ ფრინველზე არ ითქმის მღერის, არამედ — გალობს; მეორე, ბელურას უქამონო ქლივილი არა თუ პოეზიის ღმერთს — ნამდვილ პოეტს, არამედ სულ უკანსკრელს უბრალო მომაცდელსაც არ მოესმება სიმღერათ და ვალობათ; მესამეც, პოეტს სწადა — გაზაფხულის განსხვავებული, დამატკობელი სურათები წარმოავდიდინოს თვალ-წინ და აბა, რა ადგოლი აქვს ამ შემთხვევაში ბელურას, რომელიც ზამთარშიაც სულსა და გულს გვიწუხებს თავის ქლივილ-ხეილით?!

2) „ყვეავილს სწოწის“: — გარდა იმისა, რომ უწნო ფორმად, უკანონოც კარის; უნდა იყოს წყწის არა მარჯს (კოწის) აოსნის, თახნა — თახნის, კორტნა-კორტნის, და მაშასადამე წაწნა — ვწოწნი, წოწნი, წოწნის, ანუ წუწნის).

- 3) „ბრწყინვალე წყარო
- 4) მიტურის და ჭსარობს:
- „ეინვით არ ვარო“.

მიტურს—მეტათ უშნო ლიტენციაა, და ან რა საჭირო იყო აქ ამისთანა უკანონო ფორმა, როცა ლექსი კანონიერათაც კი გამოითქმოდა, მაგალ. ასე: „მიტურაეს, ხარობს?!“ მეორე—ერთობ ბნელათ არის გამოთქმული აზრი: „ეინვით არ ვარო“; ალბათ პოეტს იმის თქმა უნდოდა, რომ წყარო ყინულისაგან თავისუფალი არისო, მაგრამ ამას მკითხველი თვითონ თუ მიხედება, თეარა აეტორის გამოთქმა ერთობ გაურკვეველია.

5) პოეტი ხმარობს სიტყვას „თავისუფლობა“; შემდეგ ლექსში („ჩიტი“) ორნაირ მართლ-წერით აქვს ნახმარი ეს სიტყვა: „თავისუფლობა“ და „თავისუფლება“; ნეტა რომელი მიანიხი პოეტს კანონიერთათ? თუ თავისუფლობა—ტყდება, რადგან დიდი ხანია მართლწერამ თავისუფლება, მოიპოვა მოქალაქობრივი უფლება.

6) „ყველა ყვადება“:—აწყურა დროში უნდა უჭვოს და არა უჭვდება. აქვე უნდა ვთქვათ, რომ ჩვენს პოეტს, და მა-

სთან ერთად ყველას, ვინც კი ზმნებში ასო ჭს ხმა-რობენ, არ აქვს შემუშავებული კანონი, თუ რა შემთხვევაში იხმაროს ეს ასო. ამ ლექსში, მაგალითათ, პოეტი ხმარობს ჭს ზმნებში: ჭლისინას, ჭსტკეპება, ჭმღერს, ჭგიატობს, ჭსარობს, ჭსუღავს, და არ ხმარობს: სტკეპს, სწაწს, სწუღავს და უჭვდება: ნეტა აგვიხსნიდეს ან თვით აეტორი, ან მისი გამომცემელი, თუ რათ იწერებთან პირველი ზმნები ჭით და რათ მეორენი უჭათ? ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ვერც ერთი და ვერც მეორენი საფუძვლიან ვერაფერს გვეტყვიან ამის შესახებ. ამიტომაც ჩვენ გვითქვამს და კიდევ გავიმეორებთ, რომ ჭს ქართულ ზმნებში ადგილი არ აქვს, განსაკუთრებით დღეს, როცა მისი გამოთქმა ენას ეძწელება და ყურს ეჩოთირება. *).

სილოვის
ქუთოსი
(შემაჯო იუნება)

*) ჩვენ არ ვართ ამ შენიშვნის თანხმად და თავის დროსე რეაქცია გვაქვს წამოთქვამს ის საგანსე თავის ხარსს.
რედაქტ.

ყ ვ ა ლ ი
(მოხარობა)
XIII



თნი-ხუთი თვე ს. ტყემალეთი და მთელი მისი არე-მარე შიშის ძრწოლით იყო შეპყრობილი. თუ ვისმე რამე გაანდა დღე და ღამ მოსვენება არ ჰქონდა. მუდამ გულის ძეგრით, აღულებულის სახით იდგენ და ელოდებოდენ ავაზაკების დაცემას. გლეხებს ცოლები ევლარ წაეყვანათ მოყვრებში, ქალებს სადილი ევლარ წაეღოთ ყანებში. ადამიანს ხარი ან ცხენი ევლარ შეერჩინათ ამ ავაზაკების შიშით. მათი გაუღენა და ხალხის შემწინება იკამდის მივიდა, რომ მართებლობასაც ევლარ უმხელდენ. ვინ არ იცნობდა მათ გმირებს? ვინ არ მიუთითებდა მათ ბინას სოფელში, იმ ოჯახს, სადაც ყოველ ღამე იმალებოდენ ავაზაკები, მაგრამ ვის ჰქონდა ოჯახი და ცოლ-შვილი გამოამეტებული? ხალხმა კარგათ იცოდა, რომ პოლიციას მათი დაჭერა ერთიანად არ შეეძლო. კიდევაც რომ შეძლებოდა, ანაჟინ იყო დარწმუნებული, რომ მართებლობა არ გამოუშვებდა, ან თანებ ჭევშ და ან

თვითონ არ გამოიქცეოდა ციხიდან. ციხიდან გამოქცეული ავაზაკი და ნათოფარი მგელი ერთიანად ამობოდენ გლეხები. ერთ ადგილას, რომ რაიმე სასტიკ სასჯელს მიაყენებდენ ხალხს, შემდეგ მეორე მხარაში გადაედოდენ და ამ გვარმა ავაზაკების უშიშრობამ, გაბედულობამ და შეუპოვრად მოქმედებამ—მართებლობის მხრითაც გამოიწვია მეტი ყურადღება: მოუშატეს პოლიციის ჩინოვნიკების რიცხვს. ვადიყვან—გადმოიყვანეს პრისტავები, მახრის უფროსები, დანამარეს ჯარი, აუცილები. ვასცეს საჩუქრები ავაზაკების დასაჭერათ და ამით თანდათან შეაკვეცეს ფრთები მათ მოქმედებას. ილიკოს არ მოუსვენია მას აქეთ, რაც იეანე პრისტავი დაჭრა. მისი გამხეცებული გრძნობები და გაქვავებული გული არ დამშვიდებულა, არ გამაძლარა ივანეს სისხლით, ილიკოს ივანეს მეტი არაფერი აწუხებდა. მისი სისხლი წყურბოდა და მუდამ ამაზე ფიქრობდა. ს. ტყემალეთის ვანაპირას ერთი ხის ძეგლებური ოდა იდგა. იმ ოდას ქვეშ შეენიერი ქეთიკრის სარდაფი იყო და სარდაფის წინ ცოტა მოშორებთ პიტალო კლდე. ეს ხის ოდა ეკუთვნოდა აზნაურის მელიტრან მელაძის ქვრივს ნინოს. ნინო დიდი ხნის ქვრივი იყო. მისი ქმარი, განსვენებული მელიტრანი, როგორც ამბობდენ, ს. ტყემალეთში, ავაზაკების უშ



როსად, მფარველად, ითვლებოდა მთელ მახრამში. არა ერთხელ ყოველი აწიოკებული ბოქაულისა და ყაზახებისაგან მელიტონის ოჯახი ქურდების ძმების დროს. არა ერთხელ ყოველი მიწვეული სასამართლოში მელიტონის საკითხავად, ღმარსების საგებლად ავაზაკების შესახებ, მაგრამ ყოველთვის როგორც კრებოდა, თავისუფლებოდა მართებლობის ქვანგისაგან. მთელი სოფელი მას დაეიდარაბის და შვითის თავს ეძახოდა. მთელ თავის სიტყვებში უცნობს რომ შეებნდა, სულ საქმით იყო ვითომც ვართული, სულ საქმეს აეთებდა. ვითომ და ქვეყნის სასარგებლო საქმეს შეხაროდეს, ყველაფერს თვალყურს ადევნებდა. ჯიბეში რასღე ჰქონდა მარკებით, დანახებით, საჩივრებით, ექილობებით და ვინ იცის კიდევ რა და რა სიბნელით დაფარული, საიდუმლო ქალღმერთი. როგორც თითონ იყო, ისე ოჯახი ჰყავდა. მისი მეუღლე ნინო სულ ახალგაზდა იყო, როცა შვირთო და თავის ქუთზე გამოზარდა. ქმრის სიკვდილის შემდეგ მისი ოჯახი ავაზაკების ბუღეთ შეიქნა. დღე-ღღე სარდაღში ჰყავდა დამალული და ღამ-ღამობით კი საშოვარზე გზავნიდა. თუმც პოლიციის თვალში სავჭეო ოჯახათ ითვლებოდა მელიტონის ოჯახი, მაგრამ მელიტონის გადაცვალების დღიდან უფრო უყურადღებოდ ტრავებდა იმ იმედით, რომ ქალია და ქალი, მაინც რას გაზნდავსო?!

ღამე იყო. ილიკო და მისი ორი-სამი ამხანაგი იმ დღეს ნინოსთან დარჩნენ. დაიარაღებული მიწვენ და ორს იმათთან მამინე მიეძინათ, არ ეძინა მხოლოდ ილიკოს და მუღამ ელოდა პოლიციის თავზე დაცემას. თითქო რაღაცას გრძობსო, ძილი არ მოეკიდა. ვინ იცის ეგებ ამაღამ გაუზნე ვისიმე წერა. ან გაუზნე იგრდ და ივანეს სისხლით გაეძღო, ფიქრობდა ილიკო, ამ დროს ეზოში ძაღლების ყევა შეიქნა. ილიკოს გული აუძგერდა. სული ევლში მოგებინა. სხვები გააღვიძა და ელვასავით აივანში გავარდა. იქეა თოფმა და შურის ძირში გაურბინა ტყვიამ. გავარდა ილიკოს თოფი და ეილაცას გული შეინგრა. ყოველ მხრივ თოფის ტყვის ზუზუნმა შეაზარა გული, შეჭკრა ჰერი. ამით ავაზაკებმა ისარგებლეს და ხელდახელ ყაზახებს ჩაერივნენ, მაგრამ სად ხუთი-ექვსი ავაზაკი და სად მთელი ბრბო ყაზახებისა, სოფლის ხალხისა. ილიკომ იგრძნო თავისი უღონობა და სიკვდილის დღეების მოახლოებება, იძრო ხანჯალი და გავარდა; ან მომკლავენ და ან გაეიქცევიო. მას წინ ბოქაული დახვდა და შეძახა ყაზახებს: „Не убивать его? поднять живыми? ესლა მოასწრო, რომ ილიკოს ხანჯალი ივანეს მუცელში ტარამდის იყო ჩასული,

ილიკო დაქრილი და შეკრულ შებაწრული, ორი თავის ამხანაგებ-ავაზაკებით პირვედ, მზის პაპანაქება სიცხეზე ეგდო. იქვე ესვენა ბოქაული ივანეს გვამი.

ილიკოსი და მისი ამხანაგების დაქვრამ ბევრს ასიათონა, ბევრი შეძლებული გული აატოკა სიხარულით. მთელი კვირა ულოცავდნენ თუ ბარათებით, თუ ტელეგრამებით ეახტანე ქარკვეტაშვილის სიყოფის, აღმინისტრაციულ ნიჭს და გამკრიანობას, თუ. მცა კი თვითონ კანცელარიასაც არ გამოარებია ილიკოს დაქვრამ აღდგამა გაუთენა მელქო ღიბაძესაც, რომელსაც გამეღაენებული ჰქონდა მოყვრისაგან, სალომესი და ილიკოს დამოკიდებულგება, დღე და ღამე ძილი არ ჰქონდა, მუღამ შიშით ძრწოდა, იმ გავარდნილმა და თავზე ხელ-აღებულმა კაცმა ჩემზედაც უშური არ იძიოსო.

დღის ათი თუ თერთმეტი საათი იქნებოდა, რომ მთელი ქალაქი...ის მცხოვრებლები: ქალი, კაცი, დიდი და პატარა სულ ხილზე იდგენ და დიდი აუტაცებით, სადღესასწაულო გრძნობით მოელოდნენ ილიკოს დანახვას. ბევრს მისი სიმარდით და ვეჟკაცური სისხლის ამოგებით მოწონდა იგი და ნატრულობდა მის დანახვას და ბევრი კი დიდი ზიზლით ელოდა ამდენ ტყუილა უბრალოთ კაცების მკვლელობას ავაზაკს. აგერ ხალხში რაღაც ხმაურობა და მოძრაობაა. აგერ რისღაც ჩხარა-ჩხური ისმის! რამდენიმე წამი კიდევ და გამოჩნდა დარაჯები თოფებით, მათ შორის ბორკილით შეკოქცილი სამი ავაზაკი ერთ ვიწრო ურემში ჩაკრულნი. მათ უკან ურმითვე ივანე ბოქაულის გვამი. ვის ექნებოდა ქვის გული, რომ ამ ავაზაკებისადმი რაიმე თანაგრძნობის აზრი გაველო თავში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მათი გულციეობის და უყოფილობის მსხვერპლი ივანე ბოქაულის გვამი, იქვე თვალზემე ეჩხირობოდა. აღღლეზებული ხალხი პრისტავის გვამს კიდევ უფრო ააღღლეზა და ვინ მოთელის რა-ღარა გასალანძლი სიტყვებით არ მიმართეს დაღუმებულ და სრულმებით ენა ჩაეარდნილ ავაზაკებს.

თარხანი

(დასასრული შეგვ.)

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

ქუთაისის თავად-აწნაური სააღმალ-გაგულო განიის გაგეუმვა

სყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ ბანკის წესდების მე-18 § ძალით ქვემოთ აღნიშნულს რიცხვებში, ბანკის განკუთვნილ სადგურში სასოკადო ვაჭრობით გაედილუ იქნებან სსენებულს ბანკში დაცონავებულნი უძრავნი მამულნი ქვემო აღნიშნულთა ზირთა, შესასველრ კარდასახადთა შემოუტანლობისა კძმო.

გაეიღვა მოიხზობა მხოლოდ იმ მამულებისა, რომელითა შეპატონენი, თანხმად ბანკის წესდების მე-19 §-ისა შეავსებენ ბანკის კარდასახადს და თან განცხადებთა ხარჯეის.

ვაჭრობა დაიწება ქემო მოკვანილის თაფნი ფულიდნ. ზედ დამატებიი სხვა-და-სხვა შეუვსებელის კარდასახადისა, მამულის განსაყილთა დანიშვნაზე ხარჯებისა და, სასოკადოდრ; ეველბ იმ ფულისა, რომელიც ბანკს თაფნის მოვალის სამკაცუროდ დაუსარჯავს; ბანკის ხსკრკლივი ვალის თაფნის მოხზობა შეიძლება ზმავე ბანკის კირათს ფორცლებით, რომელნიც მიიღებან სასკულდობრივის ფისისამებრ მანეთი მანეთად და აგრეთვე შეიძლება გადატანილ იქმნენ შეიდეველსე; სოლო ვადაზე კადასახადი და სხვა კვარი ბანკის სასველრო ფული უნდა შემოტანილ იქმნენ ნადდად.

ვისაც ვაჭრობაში მოხანწილეობის მიღება სურთ, მთ შეუძლიათ გასაყიდელოთ მამულთ აღწერილობის და საბუთების განხილვა ბანკის სამმართველოში.

თუ ეს ვაჭრობა არ შესდგა, მამინ, ბანკის წესდების 24 § სეფუძველით, ინიშებ, მემორე და უკანასკნელი ვაჭრობა, 31 აგვისტოს 1894 წელს.

ვაჭრობა 9 აგვისტოს 1894 წელს.

18^{7/12} და 19^{11/12} წლიანნი სსხსნი.

ქ. ქუთაისის.

დაწასველიის მიხაილ ერასტის ძის; ორპირის ქუჩაზე ორი ორსართულიანი ქეთიკირის სახლი და მიწა 312 კვადრ. საყ. თაფნი ეალი 1005 მან. 41 კაბ. შეს. გარ. 510 მან 54 კაბ., სულ 1515 მან. 95 კაბ.

მემკვიდრეთა ჩარკოვის ელი-სამედ სიმონის ასულის; გეგუთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქეთიკირის დუქნები სარდაფით და მიწა 103^{1/2} კვადრ. საყ. თაფნი ეალი 288 მან. 37 კაბ., შეს. გარ. 312 მან. 67 კაბ., სულ 601 მ. 4 კაბ.

დასამიქათა; ნესტორ და სამსონ მიხაილის ძეთა; სათავადო ქუჩაზე ორ-სართულიანი ქეთიკირის დუქანი და მიწა 20 კვადრ. საყ. თაფნი ეალი 402 მან. 10 კაბ. შეს. გარ. 300 მან 10 კაბ., სულ 702 მან. 20 კაბ.

აღიპკეთათა, იოსებ, ალექსანდრე, ივანე ხეთისოვარის ძეთა; ლევანოვის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი სახლი და მიწა 1270 კვადრ. საყ. თაფნი ეალი 254 მან. 87 კაბ, შეს. გარ. 88 მან. 3 კაბ., სულ 342 მან., 90 კაბ.

კობახიძის ალექსი სიმონის ძის; ბალახენის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 455 კვადრ. საყ. თაფნი ეალი 106 მან. 34 კაბ. შეს. გარ. 54 მან. 63 კაბ., სულ 160 მან. 97 კაბ.

ზოგიავის ეასილ ოკროპირის ძის; ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 479 კვადრ. საყ. თაფნი ეალი 127 მან. 30 კაბ. შეს. გარ. 74 მან. 74 კაბ., სულ 202 მან 4 კაბ.

ლორთქიფანიის ნიკოლოზ გიორგის ძის; მესხეთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 667 კვადრ. საყ. თაფნი ეალი

449 მან. 82 კაბ. შეს. გარ. 184 მან. 91 კაბ., სულ 634 მან. 73 კაბ.

რუსისას ლევან გიორგის ძის; ორპირის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქეთიკირის სახლი და მიწა 89 კვ. საყ. თაფნი ეალი 150 მან. 23 კაბ. შეს. გარ. 67 მან. 8 კაბ., სულ 217 მან. 31 კაბ.

იოსელიანის მელანია დავითის ასულის; თბილისის ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 440 კვად. საყ. თაფნი ეალი 1832 მან. 55 კაბ. შეს. გარ. 286 მან. 41 კაბ., სულ 2118 მან. 96 კაბ.

რუსამის ეასილ ბუქუას ძის; ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქეთიკირის დუქნები და მიწა 271^{1/2} კვ. საყ. თაფნი ეალი 515 მან. 36 კაბ. შეს. გარ. 141 მან. 67 კაბ., სულ 657 მან 3 კაბ.

ლორთქიფანიის დავით არჩილის ძის; თბილისის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქეთიკირის სახლი და